განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

შპს-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

09-10.11.2021

04.01.2021

თბილისი, 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია Journalism and Mass Communication
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი Bachelor of Journalism
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 11/04/2011, გადაწყვეტილება N254

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავაიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჟიჟილაშვილი - შპს-კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო კილასონია - უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გვენეტაძე - საქართველო

---

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში საბაკალავო საგანმანათლებლო პროგრამა ***ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*** მოქმედებს 2011 წლის 4 ნოემბერიდან (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწვეტილება N254). საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის N1881 განკარგულებით, პროგრამის აკრედიტაციის ვადა გახანგრძლივდა 2021 წლის 31 დეკემბრამდე. პროგრამა მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და ნებრასკას უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგით. პროგრამის მომზადებაში ჩართული იყო ამავე უნივერსიტეტის პროფ. ბ.მერიკი.

პროგრამის კონცეპტუალურ ღერძს წარმოადგენს სახელოსნოს ფორმატის შემოქმედებითი ჯგუფები, რითაც სტუდენტებს საშუალება ეძლევა გაიღრმავონ არამოლოდ პრაქტიკული უნარების დარგში, არამედ დაეუფლონ დამატებით ჟურნალისტურ პროფესიებს.

2011 წლის აკრედიტაციის შემდგომ პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან გათვალისწინებულია ექსპერტთა პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაცია და რჩევა, მათ შორის:

- სასწავლო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსები უცხოურ ენაში (ინგლისური) და ასევე მეორე უცოური ენებში (ფრანგული და გერმანული);
- სასწავლო კურსის ფარგლებში ***პრესკონფერენციის მოდელირება*** დაიგეგმა პროცესის ჩანაწერის გაკეთება სასწავლო მიზნებით (შემდგომი ანალიზის მიზნით)
- სტუდენტთა ბეჭდურ მედიაში შემდგომი დასაქმების მიზნით დაემატა სასწავლო კურსი ***ჟურნალისტიკის ოსტატობა (გაზეთი, ჟურნალი)***;
- გამრავალფეროვნდა არჩევითი სასწავლო კურსები კომუნიკაციებისა და კონფლიქტების მიმართულებით, კერძოდ, კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსები ***ინტერკულტურული კომუნიკაციები, კონფლიქტების გაშუქება მედიაში, ჟურნალისტის იმიჯი, მედიატექსტი (ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი***.

2014-2015 სასწავლო წლიდან პროგრამის განმახორციელებლები კურიკულუმის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პირდაპირ ეთერში რადიოგადაცემის წაყვანის (გადაცემა „33 წუთი“, რომელიც უნივერსიტეტისა და რადიო ***საქართველოს ხმის*** ერთობლივი პროექტია. სტუდენტთა პროფესიული დაოსტატების პრაქტიკის გავლა უკვე შესაძლებელია რადიოსადგურთან ***ჯაკო***, ხოლო ტელევიზიით დაინტერესებულ სტუდენტთათვის, უნივერსიტეტს საქმიანი ურთიერთობა აქვს ტელევიზიათან ტელევიზიასთან ***იბერია***.

რეაკრედიტაციის პროცესში უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის განცხადებით შეიქმნა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც პროგრამით დაინტერესებული პირები (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. თვთშეფასების ჯუფის შემადგენლობაში ამდენი პირის ჩართვა გამოწვეული იყო თვითშეფასებსი პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამისადმი წაყენებული ახალი, მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი გამოწვევებით.

პროგრამის მდგრადობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პროგრამა მიჰყავს 23 აკადემიურ და 21 მოწვეულ პირს, რომელთაგან 21 პროფესორს აფილირება აქვს ზეოხსენებულ უნივერსიტეტთან. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის თანაფარდობას სტუდენტებთან 44:41-ია. დაბალია აკადემიური პერსონალის დენადობა (5.6%), ხოლო ცოტა უფრო მაღალია მოწვეული პერსონალის დენადობა (9,62%). თითქმის სტაბილურია პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მაღალია სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რიცხვიც.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*** ანიჭებს კვალიფიკაციას (ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, 0321) *ჟურნალისტიკის ბაკალავრი*. ის არის 240 კრედიტიანი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემდეგნაირად ნაწილდება:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (სავალდებულოა 120 კრედიტის მოგროვება)
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (სავალდებულოა არანაკლებ 68 კრედიტის მოგროვება)
- თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (სავალდებულოა არანაკლებ 25 კრედიტის მოგროვება)
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო ინსტრუმენტული მოდული (სავალდებულოა 17 კრედიტის მოგროვება)
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კულტურულ-ისტორიულ დისციპლინათა მოდული (სავალდებულოა 5 კრედიტის მოგროვება)
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სოციალურ დისციპლინათა მოდული (სავალდებულოა 5 კრედიტის მოგროვება).

საკრდიტაციო პაკეტში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკულად ასახული იყო არაერთი სიახლე პირველი აკრედიტაციამდე დღემდე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩაინიშნა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 18 ოქტომბრის ბრძანების (N1099684) თანახმად. ვიზიტი წარიმართ ჰიბრიდულად 9 და 10 ნოემბერს, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე ჩაატარა წინასწარ მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აზრი გამოთქვეს წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ასპექტებზე, განისაზღვრა ძირითადი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების მიმდინარეობისას.

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დღის წესრიგით გათვალისწინებული სესიების მიხედვით. ადმინისტრაცულმა და აკადემიურმა პერსონალმა უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. შეხვედრები წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში. ინტერვიუები ჩატარდა ღიად და გულახდილად, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა ზედმიწევნით და ამომწურავად შეეჯერებინათ დოკუმენტური მასალები რეალურ ვითარებასთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის, თემატურ ინტერვიუების შეჯერების, ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა კონკრეტული შეხედულებები, მოსაზრებები და კონკრეტული რჩევები შპს-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ***ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*** აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფი არსებული მონაცემებიდან გამომდინარე ადგენს, რომ პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტთან:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები წარმოდგენილი დარგობრივი ექსპერტების მიერ, ამავე ექსპერტების მოსაზრებით ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებას.

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 2.2

- ✓ რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი: „ჟურნალისტიკა, შესავალი“ გადავიდეს I სემესტრში (მის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებული რეკომენდაცია იხ. კომპონენტში 2.3);
- ✓ რეკომენდებულია, რომ აკადემიურ პროგრამას ჰქონდეს შემაჯამებელი პრაქტიკული პროექტი.

კომპონენტი 2.3

- ✓ რეკომენდებულია, რომ აკადემიურ პროგრამაში სასწავლო კურსს, ჟურნალისტური წერა 1 - ან დაერქვას მისი შინაარსის შესაბამისი სახელი (რაც კავშირში იქნება ქართულ მართლწერასთან და სალიტერატურო ნორმების დაცვასთან), ან მისი შინაარსი მოერგოს ჟურნალისტური წერის საფუძვლებს. შესაბამისად, თუკი ამ სასწავლო კურსში აქცენტი გაკეთდება ჟურნალისტურ წერაზე, შეიცვალოს მისი შინაარსი და ის ორინეტირებული გახდეს ახალი ამბების პოვნასა და წერაზე, ამბის ტექსტის აგებაზე და ყველა იმ კომპონენტზე, რაც ახალია ამბების წერის საფუძვლებში შესაძლოა იყოს წარმოდგენილი: ამბის სტრუქტურა, წყაროები, ინტერვიუ, ლიდი და ა. შ. რეკომენდებული სახელმძღვანელოა - მელვინ მენჩერი, ახალი ამბები გაშუქება და წერა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, გამომცემლობა დიოგენე, 2013 (ეს სახელმძღვანელო გამოყენებულია მეორე სემესტრის საგანში - ახალი ამბები მულტიპლატფორმული მედიისთვის, თუმცა წიგნი მოცულობითი და დეტალურია და მისი თავების კონკრეტულ საკითხებზე გადანაწილება რაციონალურად ორივე საგნის ფარგლებშია შესაძლებელი).
- ✓ რეკომენდირებულია, რომ სასწავლო პროგრამაში ან ისწავლებოდეს კურსი - აკადემიური წერა, ან რომელიმე სასწავლო კურსის/ების ფარგლებში სრულფასოვნად იყოს წარმოდგენილი აკადემიური წერის კომპონენტები: არგუმენტირებული ესსე, სამეცნიერო ტექსტის სახეობები, ნაშრომის შექმნის ძირითადი პრინციპები, ციტირება, სამეცნიერო ეთიკა, პლაგიატი და ა. შ.
- ✓ რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი პროფესიული ეთიკისა და თვითრეგულირების საკითხები (ფაქტების სიზუსტე; წყაროებთან მუშაობა და მათი გადამოწმება, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა; ინფორმაციის ანონიმურ წყაროებთან მუშაობა, მათი კონფიდენციალობის საკითხი; შესწორება და პასუხის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საზოგადოებრივი ინტერესი; ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები და ა.შ.)

კომპონენტი 3.1

- ✓ რეკომენდირებულია, სტუდენტებში გაიზარდოს და წახალისდეს კვლევით პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა. უსდ-მ იმუშაოს ამ მხრივ ადგილობრივ და განსაკუთრებით საერთაშორისო პროექტებზე.

კომპონენტი 5.1

- ✓ აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.2

- ✓ სასურველია, მკაფიო და ხილვადი გახდეს სასწავლო პროგრამის შედეგები. მიეცეს მას ისეთი ფორმა, რომელიც დაგვანახებს რომ კურსდამთავრებული ჟურნალისტი ფლობს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობას, რომელიც შეესაბამება როგორც სასწავლო სტანდარტს, ისე პროფესიულ საჭიროებებს. შეფასების საფუძველი იყოს აუცილებლად შესასრულებელი დავალებები და პროექტები და მსგავსი შედეგები არ იყოს იშვიათი გამონაკლისები.
- ✓ სასურველია, სასწავლო პროგრამა მეტად ინტენსიურად თანამშრომლობდეს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სტუდენტებს სთავაზობდეს ინტენსიურ პრაქტიკას უნივერსიტეტის გარეთ.
- ✓ სასურველია, სასწავლო პროგრამამ გააძლიეროს ის კომპონენტები, რომელიც კურსდამთავრებულში გააძლიერებს ავტონომიურობის განცდას, რაც ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტები საკუთარი პროექტის, ან ნამუშევრის ავტორი იქნება და არა პედაგოგის ასისტენტი და ამ როლში იქნება ხშირად.

კომპონენტი 2.2

- ✓ სასურველია, რომ სასწავლო კურსებს - „ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 1“ და „ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 2“ შეეცვალოთ სტატუსი არჩევითიდან სავალდებულოსკენ;
- ✓ სასურველია, რომ უსდ-ს ჰქონდეს პლატფორმა, სადაც თავმოყრილი იქნება სტუდენტების მიერ მომზადებული პრაქტიკული პროექტები.

კომპონენტი 2.3

- ✓ სასურველია, რომ სასწავლო კურსებში, მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალი ამბების მოპოვებაზე, ფაქტების მოძიება-დამუშევებაზე, წყაროებთან მუშაობაზე და მასალების სხვადასხვა ფორმატში ჟურნალისტური სტანდარტისა და პროფესიული ეთიკის დაცვით თხრობაზე, ვიდრე მხატვრულ-პუბლიცისტური ჩანახატებისა და ნარკვევების წერაზე. აქვე, სასურველია, რომ სასწავლო კურსში „ჟურნალისტური ტექსტის წერა, 2“ მეტი აქცენტი გაკეთდეს თანამედროვე მედიასაშუალებებისთვის მოთხოვნების შესაბამისი ჟურნალისტური ტექსტების წერის ტექნიკებზე და არა მხატვრულ-პუბლიცისტურ წერაზე;
- ✓ სასურველია, რომ პრაქტიკული სავალდებულო კურსების ფარგლებში დაინერგოს მონაცემთა ჟურნალისტიკის საკითხები;
- ✓ სასურველია, რომ სასწავლო კურსებში „ბეჭდური მედია“ და „ქართული პრესა“ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თემატიკა და გამრავალდეროვნდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, სასურველია, რომ „ბეჭდურ მედიაში“ გაჩნდეს პრაქტიკული კომპონენტი;
- ✓ სასურველია, რომ არჩევით სასწავლო კურსში „არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფა“ თეორიული საკითხების პარალელურად პრაქტიკულ დონეზე ისწავლებოდეს არჩევნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;
- ✓ სასურველია, რომ პრაქტიკულ ჟურნალისტურ საგნებში შუალედური და დასკვნითი დავალებები უმეტესწილად მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტებს;
- ✓ სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო მასალებში სავალდებულოდ და დამატებით წასაკითხი მასალა მიეთითოს გვერდებისა ან თავების მიხედვით;
- ✓ სასურველია, რომ ლექტორების მიერ მომზადებულ რიდერებში წყაროები იყოს მითითებული. იმ შემთხვევებში კი, სადაც ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ნათარგმნი და კომპეტენტური ავტორები მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები, მოხდეს მათი დანერგვა;

კომპონენტი 2.6

- ✓ სასურველია ლექტორებთან გაიმართოს შეხვედრები, პროგრამაში ქულების დროულად შეტანასთან დაკავშირებით;
- ✓ სასურველია, პლაგიატის პროგრამის უფრო აქტიური გამოყენება და სტუდენტების ინფორმირება მის შესახებ.

კომპონენტი 3.1

- ✓ სასურველია, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში სტუდენტების უფრო წარმომადგენლობითი ჩართულობის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება;
- ✓ სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულ ირების მიზნით, ამასთანავე გაიმართოს ინფორმაციული სახის შეხვედრები სტუდენტებთან სადაც საუბარი იქნება უნივერსიტეტის მიერ გაცვლითი პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობასა და ამ შესაძლებლობების გამოყენების სიკეთეებზე.

კომპონენტი 4.1

- ✓ სასურველია სამომავლოდ გამრავალფეროვნდეს პრაქტიკულ მუშაობაში ჩართული პედაგოგების არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ გამოცდილებაც. ჩაერთონ სხვადასხვაგვარი ხედვის, სტილის, გამოცდილების და მიდგომების პედაგოგები.

კომპონენტი 4.3

- ✓ სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტმა შექმნას რესურსები, რაც მათ საკუთარი თავის, აზრისა და ნამუშევრის დისტანციიდან დანახვისა და შეფასების შესაძლებლობას მისცემს.
- ✓ სურველია ბეჭდვითი მედიის კაბინეტსა და ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ხვდებოდეს ბეჭდვითი მედიის სრული სპექტრი, ასევე ცნობილი დასავლური გამოცემების და გაზეთების არჩევანი ბიბლიოთეკასა და სახელოსნოებში.

კომპონენტი 4.4

- ✓ სასურველია, ბიუჯეტის იმდგვარი განვითარება, რომ გაიზარდოს მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;
- ✓ სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიწეროს ბეჭდვითი მედიის (როგორც ქართული, ისე დასავლური გამოცემები) შესყიდვის ხარჯები.

კომპონენტი 5.1

- ✓ სასურველია მეტი ინტენსიურობით კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან იმ მიზნით, რომ პროგრამამ გაიზიაროს ბაზარზე დარგის სხვადასხვა სეგმენტში დანერგილი უახლესი მოვლენები;
- ✓ სასურველია, თუ საგანმანათლებლო პროგრამის შედარებას პროგრამის განმახორციელებელი პირები მოამზადებენ ქართულ უსდ-ებში მოქმედი მსგავსი პროგრამების მიმართ ქართულ მედიაბაზარზე საკუთარი პოზიციის განსაზღვრის მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ის შესაძლებლობა, რომელსაც სტუდენტებს აძლევს რადიო „საქართველოს ხმასთან“ თანამშრომლობა. რადიო რეპორტინგის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მასალები მოამზადონ რეალურად მოქმედი მედიისთვის და იმუშაონ პირდაპირი მაუწყებლობის რეჟიმში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში, რომელთა მიხედვით დაკორექტირდა სტანდარტის ცალკეული კომპონენტები, მათ შორის,

- დაკორექტირდა კომპონენტი 1.2. გამომდინარე იქიდან, რის საფუძველზე წინამდებარე კომპენენტი გახდა *შესაბამისი*;
- კომპონენტში 2.2 დაზუსტდა რეკომენდაცია, კერძოდ, მოიხსნა რეკომენდაციის კონკრეტული კომპონენტი, თუნც რეკომენდაცია დარჩა ძალაში;

- არგუმენტირებული დოკუმენტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა და განავრცო კომპონენტი 2.3 ინსტიტუციის მოთხოვნით, კერძოდ შეივსო განმარტება პროფესიული ეთიკის მეთი აქცენტით სწავლებისათვის (რაც ნარატიულ ნაწილში ისედაც იყო წარმოდგენილი, შესაბამისად გადმობიდა რეკომენდაციის რუბრიკაში, კითვების მოხსნის მიზნით);
- კომპონენტში 2.3 გაერთიანდა პირველი ორი რჩევა, შესაბამისად, დაკორექტირდა პირველი რჩევა და მოიხსნა შემდგომი;
- დასკვნის პროექტზე მუშაობის პროცესში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, კომპონენტი 2.6 აფიქსირებდა ექსპერტთა მსჯელობის საფუძველზე მხოლოდ ერთ რჩევას, შეფასების ქულების დაფიქსირებასთან დაკავშირებით, რაც დაკორექტირდა, შესაბამისად, წინამდებარე კომპონენტი ***შესაბმისობაშია***, რაც შეეხება კომპონენტს 2, ის რჩება ***მეტწილ შესაბამისობაში***.
- გარკვეული ცვლილებები განიცადა ასევე კომპონენტმა 3.1, თუმცა არ შეცვლილა შეფასების შინაარსი, კერძოდ ამ კომპონენტშიც დარჩენილია შეფასბა ***მეტწილ შესაბამისობაში***.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ***ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*** მიზნები შეესაბამება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დანიშნულებას და მისიას - ცოდნა და საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესის დაკავშირებას. პროგრამის მიზნად დასახულია ისეთი ჟურნალისტის მომზადება, რომელიც იოლად უნდა ინტეგრირდეს არსებული მედიაორგანიზაციების სივრცეში, რომელიც თავს გაართმევს ტექნიკურ დავალებებს და იოლად ორიენტირდება სამუშაო დროსა და სივრცეში, რაც ესაჭიროება ამ სფეროში არსებულ შრომით ბაზარს. პროგრამის აღწერაში შემოთავაზებულია ღირებულებრივი, პრაქტიკული და პროფესული მიზნები. მაგალითისთვის, პროგრამის მიზანია კონფორმიზმისგან დისტანცირებული "ახალი მოქალაქეობრივი აზროვნებით აღჭურვილი" ჟურნალისტის ფორმირება, ამავდროულად ჟურნალისტისა, რომელსაც სხვადასხვა მედიაში მუშაობის თანაბარი ცოდნა და უნარები ექნება. პროგრამა ამ მიზნების მიღწევისთვის ეყრდნობა ერთი მხრივ ჟურნალისტური ეთიკისა და საკანონმდებლო ჩარჩო-მოცემულობათა ანალიზურ სასწავლო კურსებს, ამავდროულად პროფესიული უნარების გაღვივებისთვის მიმართავს მულტიმედიურ, პრაქტიკულ კურსებს. სატელევიზო, რადიო და ბეჭდვითი მედიების თეორიულ და პრაქტკულ მოდულებს. პროგრამის მთავარი უნიკალურობის მახასიათებლად აქცენტი კეთდება კროსმედიური სწავლების მეთოდზე. რაც გულისხმობს, რომ კურსდამთავრებული უნდა ფლობდეს უნივერსალურ უნარებს, სხვადასხვა ტექნიკური სპეციფიკის პლატფორმებზე თავისუფალად მუშაობისთვის. ამასთანავე, პროგრამაში ხაზგასმულია სტუდენტის ზოგადი ინტელექტუალური განვითარების მიზანი, რისი მიღწევაც დასახულია სასწავლო კურსებში მრავლად წარმოდგენილი სხვადასხვა დარგობრივი ზოგადი მიმოხილვითი კურსები. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; თუმცა, სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა პროგრამაში პრაქტიკული ნაწილის გაძიერების საჭიროება და პრაქტიკის გამრავალფეროვნება. პროგრამის მიზანი დიდწილად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. თუკი პროგრამის მიზნები და მისი შინაარი, კურუკულუმი შესაბამისობაში განვითარდება და განმტკიცდება, კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ პროფესიული გარემოსთვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისია; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;

- ინტერვიუები სტუდენტებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ დამსაქმებელთან;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული.

აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელება სტუდენტების სწავლის შედეგებით, რომელსაც მუდმივ მონიტორინგს უწევს პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები, სტუდენტების, კურსდამთავრებულების ჩართულობით. სწავლის შედეგების განმსაზღვრელი ინდიკატორია აკადემიური მოსწრება დასტუდენტთა ჩართულობა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში; ასევე კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების და ამ დასაქმების სიხშირე.

პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება როგორც სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები, ისე მათ მიერ სწავლების ხარისხის დადგენისთვის ანონიმური და თავისუფალი გამოკითხვის შედეგები. ინტერვიუებზე სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ძირითადად პროგრამის შეფასება ხდება ლექტორებთან უშუალო კომუნიკაციის დროს.

პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი;

პროგრამაში გაწერილი შედეგები არის უნივერსალური ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის ნებისმიერი პროგრამის კურდამთავრებულისთვის. საყურადღებოა, როგორ ხდება კონკრეტულად ჟურნალისტებისთვის გაწერილი სპეციფიკური მიზნების დანახვა და შეფასება შედეგებში. თუ არ ჩავთვლით დასაქმებას როგორც საზომს, სხვა დანარჩენი ზოგადია.

მეტი სიზუსტისა და მკაფიოობისთვის სასურველია მიზნებისა და შედეგების რუკის შექმნა და დახვეწა. სადაც ნათელი იქნება, რომელი შედეგი, რომელ მიზანს პასუხობს.
შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისუტურია. თუმცა, პროგრამის აღწერასა თუ შინაარსობრივ ნაწილში ყოველთვის მკაფიოდ არ არის გამიჯნული თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის განმავითარებელი კომპონენტები, რაც ართულებს შესაბამის შედეგების დანახვას და შეფასებას.
რთულია დადგენა, თუ როგორ აღწევს შედეგები ღირებულებრივი მიზნების მიღწევას, როდესაც სასწავლო კურსის დასრულება არ ხდება შემაჯამებელი დავალების ან პროექტის შესრულებით, რომელიც კომპლექსურად გვიჩვენებს, არა მხოლოდ ღირებულებრივ, არამედ სხვა მიზნების მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1);
- სტუდენტთა შეფასების კითხვარების შედეგები;
- დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამის შეფასების კითხვარების მონაცემები;
- შრომისბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკრედიტაციის პროცესში წარმართული ინტერვიუები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მკაფიო და ხილვადი გახდეს სასწავლო პროგრამის შედეგები. მიეცეს მას ისეთი ფორმა, რომელიც დაგვანახებს რომ კურსდამთავრებული ჟურნალისტი ფლობს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობას, რომელიც შეესაბამება როგორც სასწავლო სტანდარტს, ისე პროფესიულ საჭიროებებს. შეფასების საფუძველი იყოს აუცილებლად შესასრულებელი დავალებები და პროექტები და მსგავსი შედეგები არ იყოს იშვიათი გამონაკლისები.
- სასურველია, სასწავლო პროგრამა მეტად ინტენსიურად თანამშრომლობდეს დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სტუდენტებს სთავაზობდეს ინტენსიურ პრაქტიკას უნივერსიტეტის გარეთ.
- სასურველია, სასწავლო პროგრამამ გააძლიეროს ის კომპონენტები, რომელიც კურსდამთავრებულში გააძლიერებს ავტონომიურობის განცდას, რაც ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტები საკუთარი პროექტის, ან ნამუშევრის ავტორი იქნება და არა პედაგოგის ასისტენტი და ამ როლში იქნება ხშირად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობები აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამაშიც და თვითშეფასების ანგარიშშიც. პროგრამაზე შესაძლოა ჩაირიცხოს სრული ზოგადი განათლების მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. უსდ-ს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი საგნობრივი პრიორიტეტები და კოეფიციენტები: • I პრიორიტეტი - ქართული ენა და ლიტერატურა, კოეფიციენტი 5 • II პრიორიტეტი - უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული), კოეფიციენტი 4 • III პრიორიტეტი - მათემატიკა/ისტორია, კოეფიციენტი 3 ამას გარდა, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ან მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლოა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობითა და უსდ-ს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. უსდ-ს მიერ დადგენილი პროცედურები გაწერილია „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტში“. ყველა ზემოაღნიშნული წესი და პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ გრუნის „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“.;
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პროგრამა შედგენილია ყველა აუცილებელი კომპონენტის გათვალისწინებით. მასში შედის: • კონცეპტუალური ბლოკი - პროგრამის ანოტაცია, მიზნები და შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმები, აკადემიური რეგულაციები და ა.შ. • მატრიცული ბლოკი - აკადემიური პროგრამის სემესტრული განაწილება; • ფუნქციური ბლოკი - აკადმიური პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები. პროგრამა არის 240 კრედიტიანი. მისი მატრიცული ნაწილის მიხედვით კრედიტები შემდეგნაირად ნაწილდება: • 120 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები; • 68 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კომპონენტები; • 52 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტები. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამის განახლებაში მონაწილეობას იღებდნენ მის აღსრულებაში ჩართული პერსონალი, ინდუსტრიის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ დასაქმების ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროგრამაში გაჩნდა ახალი სასწავლო კურსები, როგორებიც არის „კულტურის საკითხების გაშუქება მედიაში და გასართობი მაუწყებლობა“, „ინტერკულტურული კომუნიკაციები“; „კონფლიქტების გაშუქება მედიაში“ და ა.შ. რაც პროგრამის განვითარების დადებით ტენდენციაზე მეტყველებს. ასევე, აღნიშნულია, რომ ზოგიერთი სასწავლო

კურსი გადაიხედა და შეიცვალა. ზემოაღწერილი ცვლილებებიდან გამომდინარე კი, პროგრამული მატრიცის შესწავლით გამოიკვეთა, რომ ის საერთო ჯამში გადის იმ შედეგზე, რაც მიზნად არის დასახული, თუმცა მისი განვითარების ლოგიკაზე დაკვირვებით. იკვეთება შემდეგი რეკომენდაციის აუცილებლობა.

- იმისთვის, რომ სტუდენტმა დაიწყოს ჟურნალისტური ტექსტის წერა, მას სჭირდება ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობების, როლისა და სტანდარტების საფუძვლების ცოდნა, ამიტომ სასწავლო კურსი ჟურნალისტიკა (შესავალი) უნდა ისწავლებოდეს პირველივე სემესტრში (და არა მეორეში, ვინაიდან ტექსტის წერის სასწავლო კურსი გათვალისწინებულია უკვე პირველ სემესტრში და პროფესიის არსის ცოდნის გარეშე ჟურნალისტურ ტექსტებზე მუშაობის დაწყება არ იქნება ლოგიკური);

საგანმანათლებლო პროგრამაშიც და თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნულია, რომ მისი განახლებისას მოდელად აღებული იყო აშშ-ს ნებრასკას უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტრუქტურა. თუმცა დადარებისას ნებრასკასა და გრუნის უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის პროგრამების სტრუქტურებს შორის (მათი ლოგიკური განვითარების თვალსაზრისით) მსგავსება ნაკლებად გამოიკვეთა. სასურველი იქნებოდა, რომ აშშ-ს ხსენებული უნივერისტეტის პროგრამის ანალოგიურად გრუნის პროგრამას სასწავლო კურსების მსგავსი ლოგიკური განვითარება ჰქონოდა შემდეგ მიმართულებებში: ვიზუალური კომუნიკაცია, მონტაჟი და რეპორტინგი, აუდიო-ვიზუალური და ტექსტობრივი თხრობა, მონაცემთა ჟურნალისტიკა (ეს უკანასკნელი თემა პროგრამის არც ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში არ იფარება. ამ საკითხს დავუბრუნდები 2.3-ში). ეს პროგრამას გახდიდა უფრო მოქნილს და თანამედროვეს. ნებრსაკას უნივერსიტეტის პროგრამის განვითარების ლოგიკა მოცემულია ამ ბმულზე.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი პროგრამული ცვლილებების მიხედვით სტუდენტისთვის შესაძლებელი ხდება ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციით დასრულება, რაც დადებითი და საჭირო ცვლილებაა, თუმცა თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, რომ სასწავლო კურსები - ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 1 და 2 პროგრამულად ასევე ყოფილიყო სავალდებულო და არა არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში. ამის აუცილებლობას ვიზიტის დროს დაეთანხმა პროგრამის ხელმძღვანელიც.

იმისთვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს მიღებული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ავტონომიურობის სრულფასოვნად გამოვლენის შესაძლებლობა, ვფიქრობთ, პროგრამას უნდა ჰქონდეს ფინალური, შემაჯამებელი კომპონენტი, ე.წ. capstone project, რომელსაც ექნება ადეკვატური კრედიტ-წონა. აკადემიურ პროგრამაზე მიბმული ე.წ. სახელოსნოების პრაქტიკა, რასაც უსდ თვითშეფასების ანგარიშში ინოვაციად მიიჩნევს, იძლევა ასეთი ფინალური პროექტის გაკეთების შესაძლებლობასაც და რესურსსაც. ჩვენი რეკომენდაციით, პროექტების ხელმძღვანელობა უნდა მიენდოთ პრაქტიკოს და თანამედროვე მედიასაშუალებებში დასაქმებულ პროფესიონალებს. პროექტები შესაძლოა იყო სხვადასხვა ფორმატში, თუმცა უნდა ეფუძნებოდეს რეალურ ჟურნალისტურ კვლევასა და შესრულებული უნდა იყოს თხრობის თანამედროვე ტექნიკების გამოყენებით. აქვე, სასურველია, თუკი ამ და სხვა პროექტების პრეზენტაბელურად წარმოდგენისთვის უსდ-ს ექნება სპეციალური პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები შეძლებდნენ საკუთარი პორტფოლიოების შექმნასაც, რაც მათთვის სამომავლოდ იქნებოდა სასარგებლო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ;
- აკადემიური პროგრამის მატრიცული რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;

- ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი: „ჟურნალისტიკა, შესავალი“ გადავიდეს I სემესტრში (მის შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებული რეკომენდაცია იხ. კომპონენტში 2.3);
- რეკომენდებულია, რომ აკადემიურ პროგრამას ჰქონდეს შემაჯამებელი პრაქტიკული პროექტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სასწავლო კურსებს - „ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 1“ და „ინგლისური ენა ჟურნალისტებისთვის 2“ შეეცვალოთ სტატუსი არჩევითიდან სავალდებულოსკენ;
- სასურველია, რომ უსდ-ს ჰქონდეს პლატფორმა, სადაც თავმოყრილი იქნება სტუდენტების მიერ მომზადებული პრაქტიკული პროექტები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- საუკეთესო პრაქტიკად მიგვაჩნია ის შესაძლებლობა, რომელსაც სტუდენტებს აძლევს რადიო „საქართველოს ხმასთან“ თანამშრომლობა. რადიო რეპორტინგის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მასალები მოამზადონ რეალურად მოქმედი მედიისთვის და იმუშაონ პირდაპირი მაუწყებლობის რეჟიმში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პროგრამის სასწავლო კურსები ძირითადად მოიცავენ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროში აქტუალურ თემატიკას. მათში წარმოდგენილია მედიის სხვადასხვა მიმართულება, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს პროგრამაზე სწავლის პროცესში დაეუფლოს ტელე, რადიო, ბეჭდურ, მულტიმედია ჟურნალისტიკის შესახებ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. თუმცა სასწავლო კურსებისა და სილაბუსების შეფასებისას გამოიკვეთა კონკრეტული რეკომენდაციებისა და რჩევების აუცილებლობა.

სასწავლო კურსი „ჟურნალისტიკა, შესავალი“ - რეკომენდებულია ჟურნალისტური პრინციპების სწავლება და ამ პრინციპების შესაბამის მასალებზე მუშაობა. სილაბუსში არსადაა ნახსენები ძირითადი პროფესიული სტანდარტები: სიზუსტე, სიმართლე, მიუკერძოებლობა, საზოგადოების ინტერესის მსახურება, ანგარიშვალდებულება და ა.შ. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სასწავლო კურსი ვერ აძლევს სტუდენტს სრულფასოვან ცოდნას მედიის როლისა და მისი სტანდარტების შესახებ. ამ სასწავლო კურსში გვხვდება მედიის ფუნქციის არასწორი გაგება: IV ლექციაზე სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ თემა: „ჟურნალისტიკის ფუნქციები: იდეოლოგიური, ორგანიზატორული,

კულტურულ-რეკრეაციული.“ რადგანაც იდეოლოგიური თუ ორგანიზაციული დატვირთვა მედიის ფუნქციად მხოლოდ არათავისუფალ, ავტორიტარულ თუ ტოტალიტარულ სახელმწიფოებშია მიჩნეული, რეკომენდებულია ამ თემის შეცვლა. სანაცვლოდ სტუდენტებს შესაძლოა შეეთავაზოთ თემა დემოკრატიულ და თავისუფალ საზოგადოებაში მედიის, როგორც საზოგადოების ინფორმატორის როლის, ამ პროცესში კი მისი, როგორც ძალაუფლების მქონეთა მაკონტროლებლის ფუნქციის შესახებ (სახელმძღვანელო: ბილ კოვაჩი, პოლ როზენსტილი, „ჟურნალისტიკის ელემენტები“). რაც შეეხება იდეოლოგიზირებულ მედიასაშუალებებს, რაც რეალობაში არსებობს, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, სტუდენტებს ამის შესახებ უნდა ჰქონდეთ ცოდნა, თუმცა არა იმ კონტექსტით, რომ შემდეგში მათ რაიმე ტიპის იდეოლოგიზირებულ პროცესში პროფესიული მონაწილება მიიჩნიონ საკუთარ მოვალეობად. პირიქით, მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს პროფესიის მიღმაა, ამიტომ თუკი კურსის ავტორს ამ საკითხზე სურს სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემა, მაშინ შესაძლებელია სასწავლო კურსში გაჩნდეს თემა: პროპაგანდა, ყალბი ინფორმაცია, მანიპულაცია და ა.შ.

სასურველია, რომ აკადემიურ პროგრამაში ძლიერად იყოს წარმოდგენილი აკადემიური წერის ელემენტები. ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან აღინიშნა, რომ აკადემიურ წერაზე აქცენტი კეთდება სასწავლო კურსში - ჟურნალისტური ტექსტის წერა, I, თუმცა კურსის სილაბუსის მიხედვით ირკვევა, რომ საგანი უფრო მეტად ეხება მართლწერისა და ენობრივი ნორმების საკითხებს, ასევე, პუბლიცისტურ წერას, ნაკლებად - ჟურნალისტურ წერასა და აკადემიური წერის ნორმებს. აკადემიური წერის სიღრმისეულად და სისტემურად სწავლების აუცილებლობა გამოკვეთა სტუდენტური კონფერენციების ნაშრომების გაცნობამაც. უსდ-ს მიერ მოწოდებულ მბულზე ატვირთულ საკონფერენციო ნამუშევრებში იკვეთება ციტირებისა და ლიტერატურის მითითების წესების ცოდნის დეფიციტი, ასევე, პლაგიატის პრობლემები.

სასურველია, რომ სასწავლო კურსი - ჟურნალისტური ტექსტის წერა 2-ში განვითარდეს სიღრმისეული წერის ტექნიკების მიმართულება (არა პუბლიცისტური, არამედ ჟურნალისტური ხაზით). საკითხები, რომელიც ამ სასწავლო კურსის სილაბუსშია მოცემული, მაგალითად, პუბლიცისტური ტექსტის ძირითად ენობრივი თავისებურებები, ჟურნალისტური ტექსტის პრინციპები; ტრანსლიტერაციის ძირითად წესები, პუნქტუაციის წესები და ა.შ. - ნაკლებად მოიცავს სასწავლო კურსის დასახელების შესაბამის თემატიკას.

ზოგადად, პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სოლიდური ნაწილი მოიცავს პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ წერის უნარების განვითარებაზე მუშაობას. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით, საჭიროა პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსის გადახედვა. პროგრამის კვალიფიკაციიდან და ჟურნალისტიკის თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში ძირითადი ფოკუსი ჟურნალისტური თხრობის ფორმატებისა და ამ მხრივ სხვადასხვა ტექნიკის სწავლებაზე მოდიოდეს და არა მხატვრულ თხრობაზე. მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში მხატვრულ-პუბლიცისტურ წერაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებში აქცენტი „თავისუფალი თემების“ ტიპის წერაზე მოდის და არა ფაქტებისა და ინფორმაციის მოძიებაზე, წყაროების გამოყენებაზე, მოძიებული მასალის მიმზიდველად, ჟურნალისტური სტანდარტებითა და პროფესიული ეთიკის დაცვით თხრობაზე. მაგალითად, სასწავლო კურსი - ანალიტიკური წერა - სტუდენტს ნაკლებად ასწავლის ფაქტების მიხედვით ანალიზს. ამ კურსში მოცემული ისეთი ტიპის თემატიკა კი, როგორიცაა, მაგალითად: „პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტად მაწუხებს“, „ავტოპორტრეტი უნიღბოდ“, როლური თამაში - „ინტერვიუ წარმოსახვით პერსონაჟთან“ - ჟურნალისტური ანალიზის უნარების განვითარებისთვის

არ გამოდგება.

სავალდებულო სასწავლო კურსებში: „ბეჭდური მედია“ და „ქართული პრესა“ ვფიქრობთ, უფრო ეფექტიანად და შედეგებზე ორიენტირებულად არის შესაძლებელი თემატიკის განაწილება - ისე, რომ სტუდენტს თითოეულმა კურსმა შეასწავლოს საკითხის ერთმანეთისგან განსხვავებული დეტალები: რადგანაც „ქართული პრესის“ სილაბუსი სრულად ფარავს სათაურის შესაბამის თემატიკას, სასურველია, რომ „ბეჭდურმა მედიის“ კლასი ისევ ქართულ გაზეთებსა და პუბლიცისტურ წერილებზე აღარ ორიენტირდეს და მის ფარგელებში სტუდენტმა შეისწავლოს საერთაშორისო ბეჭდური მედიასისტემების საუკეთესო პრაქტიკა, ასევე, მოხდეს მისი კომბინირება/შედარება მულტიპლატფორმულ კონტენტთან, ვინაიდან დღეს ყველა თანამედროვე ბეჭდური მედია უკვე არის მულტიპლატფორმული - აქვს ვები, სოცქსელები და ა.შ. სასურველია, რომ ბეჭდური მედიის სილაბუსში გაჩნდეს ახალი ამბებისა და ამ მიმართულების მედიისთვის საჭირო ტექსტების წერის პრაქტიკული კომპონენტიც, რითაც ეს სასწავლო კურსი სრულფასოვანი წინარეკვიზიტი გახდებოდა საგნისთვის - „ჟურნალისტური ოსტატობა (გაზეთი, ჟურნალი)“. ზოგადად, აქვე აღვნიშნავთ, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრისას სტუდენტებთან მათ ვერ გაიხსენეს, რომელი საგნის ფარგლებში ისწავლეს ჟურნალისტიკისა და ახალი ამბების წერის საფუძვლები.

სასურველია, რომ პრაქტიკული სავალდებულო კურსების ფარგლებში დაინერგოს მონაცემთა ჟურნალისტიკის საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსში - „პროფესიული ეთიკა და მედიის სამართლებრივი რეგულირება“- წარმოდგენილი პროფესიული ეთიკის საკითხები კარგად არის ინტეგრირებული მედიის სამართლებრივი რეგულირების თემატიკასთან, მაინც ვფიქრობთ, რომ პროფესიულ ეთიკაზე სიღრმისეული აქცენტი ამ სასწავლო კურსის ფარგლებში ვერ ესწრება. აქ არსებობს გამოსავალი, რომ პროფესიული ეთიკისა და თვითრეგულირების მექანიზმების სიღრმისეული სწავლება ინტეგრირებულად მოხდეს მაგალითად, პროფესიული რეპორტინგის (რადიო, ტელე) კლასებშიც, ჟურნალისტური ტექსტის წერის და ა.შ. სასწავლო კურსების ფარგლებში. ეს სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, რომ პრაქტიკული კომპონენტის შესრულების პარალელურად და უკვე საკუთარ თუ სხვების გამოცდილებაზე დაყრდნობით გაიაზრონ პროფესიული დილემები და გაიძლიერონ პროფესიული სტანდარტი ისეთ საკითხებში, როგორებიცაა, მაგალითად, ფაქტების სიზუსტე; წყაროებთან მუშაობა და მათი გადამოწმება, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა; ინფორმაციის ანონიმურ წყაროებთან მუშაობა, მათი კონფიდენციალობის საკითხი; შესწორება და პასუხის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საზოგადოებრივი ინტერესი; ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები და ა.შ.

სასურველია, რომ ისეთ სასწავლო კურსებში, რომელთა შედეგებშიც მოიაზრება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში უმეტესწილად აქცენტი კეთდებოდეს პრაქტიკული დავალებებისა და პროექტების შესრულებაზე. მაგალითად, კურს „ინტერნეტმედიის“ ფინალური გამოცდაა კომბინირებული ტესტი; კურს „მულტიმედიის“ შუალედური დავალებები - ესსე „კონვერგენტული ჟურნალისტიკა“, ქეისის ანალიზი, კომბინირებული ტესტი; კურსების „ჟურნალისტური ტექსტის წერა, 1 და 2“ - ფინალური გამოცდაა რეფერატი; არჩევითი კურსის „სოციალური საკითხების გაშუქება მედიაში“ არც ერთი დავალება არ არის პრაქტიკული. მასში შედის ზეპირი გამოკითხვები, ესსე, რეფერატი და ა.შ.

სასურველია, რომ არჩევით სასწავლო კურსში „არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფა“

საარჩევნო სისტემისა და პროცესის შესწავლის პარალელურად შესრულდეს არჩევნების გაშუქებასთან და საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებული პრაქტიკული დავალებები. სასწავლო კურსების უმეტესობაში არ არის დაზუსტებული, თუ რა სავალდებულო თუ დამატებით ლიტერატურა აქვს კონკრეტულად ლექციიდან ლექციამდე წასაკითხი სტუდენტს. სასურველია, რომ ეს საკითხი ყველა სილაბუსში ზედმიწევნით გაიწეროს. მაგალითისთვის, თუკი ლექტორს სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული აქვს „რიდერი“, შემდეგ ლექციების ნაწილში ასევე უთითებს მხოლოდ „რიდერს“ და არა კონკრეტულ გვერდებსა თუ თავებს ამ რიდერებიდან. აქვე აღვნიშნავთ - სასურველია, რომ ამ რიდერებში მითითებული იყოს, რომელი წყაროებით ხელმძღვანელობენ ლექტორები მათი შედგენისას ანუ რომელი სახელმძღვანელობის, წიგნებისა თუ სტატიების მიხედვით არის წასაკითხი სავალდებულო მასალა მომზადებული. გვაქვს შემთხვევა, როდესაც ლექტორის მიერ მომზადებული რიდერი სულ 14 გვერდიანია (შემოწმდა შერჩევით) - სასწავლო კურსი „რეპორტინგი 2, ტელევიზია“ და ეს რიდერი არის ერთადერთი სავალდებულო ლიტერატურა მთელი კურსის განმავლობაში. ამ სასწავლო კურსისთვის შეგვეძლო შეგვეთავაზებინა ქართულ ენაზე ნათაგმნი სახელმძღვანელო - "სატელევიზიო რეპორტაჟის მომზადება და ტელეჟურნალისტიკა, ვიზუალური თხრობის გზამკვლევი", ფრედ შუკი, ჯონ კარსონი, ჯონ დეტასიო, PEARSON, 2014, რომელიც სრულად ფარავს კურსში შეთავაზებულ თემატიკას (უფასოდ ხელმისაწვდომია საბას ელექტრონული წიგნების პლატფორმაზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა • აკადემიური პროგრამის მატრიცული რუკა • აკადემიური პროგრამის სილაბუსები • აკადემიური პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • ვიზიტის შედეგები
რეკომენდაციები: ✓ რეკომენდებულია, რომ აკადემიურ პროგრამაში სასწავლო კურსს, ჟურნალისტური წერა 1 - ან დაერქვას მისი შინაარსის შესაბამისი სახელი (რაც კავშირში იქნება ქართულ მართლწერასთან და სალიტერატურო ნორმების დაცვასთან), ან მისი შინაარსი მოერგოს ჟურნალისტური წერის საფუძვლებს. შესაბამისად, თუკი ამ სასწავლო კურსში აქცენტი გაკეთდება ჟურნალისტურ წერაზე, შეიცვალოს მისი შინაარსი და ის ორიენტირებული გახდეს ახალი ამბების პოვნასა და წერაზე, ამბის ტექსტის აგებასა და ყველა იმ კომპონენტზე, რაც ახალი ამბების წერის საფუძვლებში შესაძლოა იყოს წარმოდგენილი: ამბის სტრუქტურა, წყაროები, ინტერვიუ, ლიდი და ა. შ. რეკომენდებული სახელმძღვანელოა - მელვინ მენჩერი, ახალი ამბები გაშუქება და წერა, კოლუმბიის უნივერსიტეტი, გამომცემლობა დიოგენე, 2013 (ეს სახელმძღვანელო გამოყენებულია მეორე სემესტრის საგანში - ახალი ამბები მულტიპლატფორმული მედიისთვის, თუმცა წიგნი მოცულობითი და დეტალურია და მისი თავების კონკრეტულ საკითხებზე გადანაწილება რაციონალურად ორივე საგნის ფარგლებშია შესაძლებელი). ✓ რეკომენდირებულია, რომ სასწავლო პროგრამაში ან ისწავლებოდეს კურსი - აკადემიური წერა, ან რომელიმე სასწავლო კურსის/ების ფარგლებში სრულფასოვნად იყოს წარმოდგენილი აკადემიური წერის კომპონენტები: არგუმენტირებული ესსე, სამეცნიერო ტექსტის სახეობები, ნაშრომის შექმნის ძირითადი პრინციპები, ციტირება, სამეცნიერო ეთიკა, პლაგიატი და ა. შ. ✓ რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი პროფესიული ეთიკისა და თვითრეგულირების საკითხები (ფაქტების სიზუსტე; წყაროებთან მუშაობა და მათი გადამოწმება, ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნა; ინფორმაციის ანონიმურ წყაროებთან მუშაობა, მათი კონფიდენციალობის საკითხი; შესწორება და პასუხის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საზოგადოებრივი ინტერესი; ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები და ა.შ.)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სასწავლო კურსებში, მისი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, მეტი აქცენტი გაკეთდეს ახალი ამბების მოპოვებაზე, ფაქტების მოძიება-დამუშევებაზე, წყაროებთან მუშაობაზე და მასალების სხვადასხვა ფორმატში ჟურნალისტური სტანდარტისა და პროფესიული ეთიკის დაცვით თხრობაზე, ვიდრე მხატვრულ-პუბლიცისტური ჩანახატებისა და ნარკვევების წერაზე. აქვე, სასურველია, რომ სასწავლო კურსში „ჟურნალისტური ტექსტის წერა, 2“ მეტი აქცენტი გაკეთდეს თანამედროვე მედიასაშუალებებისთვის მოთხოვნების შესაბამისი ჟურნალისტური ტექსტების წერის ტექნიკებზე და არა მხატვრულ-პუბლიცისტურ წერაზე;
- სასურველია, რომ პრაქტიკული სავალდებულო კურსების ფარგლებში დაინერგოს მონაცემთა ჟურნალისტიკის საკითხები;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსებში „ბეჭდური მედია“ და „ქართული პრესა“ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს თემატიკა და გამრავალფეროვნდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, სასურველია, რომ „ბეჭდურ მედიაში“ გაჩნდეს პრაქტიკული კომპონენტი;
- სასურველია, რომ არჩევით სასწავლო კურსში „არჩევნების საინფორმაციო უზრუნველყოფა“ თეორიული საკითხების პარალელურად პრაქტიკულ დონეზე ისწავლებოდეს არჩევნებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება;
- სასურველია, რომ პრაქტიკულ ჟურნალისტურ საგნებში შუალედური და დასკვნითი დავალებები უმეტესწილად მოიცავდეს პრაქტიკულ კომპონენტებს;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში სალექციო მასალებში სავალდებულოდ და დამატებით წასაკითხი მასალა მიეთითოს გვერდებისა ან თავების მიხედვით;
- სასურველია, რომ ლექტორების მიერ მომზადებულ რიდერებში წყაროები იყოს მითითებული. იმ შემთხვევებში კი, სადაც ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ნათარგმნი და კომპეტენტური ავტორები მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები, მოხდეს მათი დანერგვა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ისეთ პროექტებსა და აქტივობებში, რაც ავითარებს მათ სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს. ამ თვალსაზრისით სახელდება სხვადასხვა პროგრამა და პროექტი:

- საერთაშორისო მობილობები (Erasmus+)

- სატელევიზიო-პუბლიცისტური გადაცემებისა და სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალი „კენტავრი“
- სახელოსნოები
- სამეცნიერო კონფერენცია და სხვა

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასალებით, ასევე, ვიზიტისას მიღებული ინფორმაციით, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია დასტურდება.
ამას გარდა, უსდ-ს პარტნიორული ურთიერთობები აქვს რამდენიმე მედიასაშუალებასთან, რომლებიც მათ სტუდენტებს სტაჟირების გავლის შესაძლებლობას სთავაზობენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან
- სამეცნიერო კონფერენციების მასალები
- ვიზიტის დროს გამოთხოვილი მასალები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge
- თვითშეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პროგრამის, მასზე თანდართული სილაბუსებისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების ნუსხა, განმარტებებით. ეს მეთოდებია:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა / პრაქტიკული მუშაობა
- სინქრონული ონლაინ სწავლება
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ინდუქცია
- დედუქცია
- ანალიზი
- დემონსტრირება
- დამოუკიდებელი სწავლა
- დისკუსია/დებატები

- როლური თამაში
- ქეისის/შემთხვევის ანალიზი
- ევრისტიკული მეთოდი
- გუნდური/ჯგუფური მუშაობა
- ვიდეო მასალის ჩვენება-კომენტირება

სასწავლო კურსებში გამოყენებულია აღნიშნული სწავლება-სწავლის მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გრუნის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
- აკადემიური პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- **გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა**
  - ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, არის გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი. უნივერსიტეტი იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას (ECTS). უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა, სადაც მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

სტუდენტის შეფასება მრავალკომპონენტიანია და მოიცავს მრავალჯერად შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას, რომელთა ჯამი შეადგენს საბოლოო შეფასებას. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და იყენებს ისეთს მეთოდებს როგორებიცაა, ქვიზები, პრეზენტაციები, სიტუაციური მაგალითები, ქეისის ანალიზი, როლური თამაშები, დისკუსია/დებატები. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამას არ გააჩნია საბოლოო საბაკალავრო ნაშრომი ან/და ისეთი საბოლოო პროექტი, რომელიც შეფასდება და პორტფოლიოს სახით ექნება სტუდენტს, თუნდაც პოტენციური დამსაქმებლისთვის საჩვენებლად.

ნექსუსის პლატფორმის საშუალებით, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. თუმცა, ბოლო სტუდენტთა კმაყოფილების ბოლო კვლევით, ჯერ კიდევ პრობლემატურია პლატფორმაზე ქულების დროული ასახვა.

პროგრამას დანერგილი აქვს პლაგიატის შემოწმების პროგრამული მეთოდები. თუმცა აკადემიური

პერსონალი აღნიშნავს, რომ ეს საკითხი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, ყოველთვის თხოვენ სტუდენტებს თავიანთი სიტყვებით გადმოსცენ საკითხი, თუმცა ხშირია ინტერნეტიდან გადმოკოპირებული მასალები. აღნიშნეს, რომ აქტუალურ და მიმდინარე ამბებზე გამორიცხულია პლაგიატი და ამ შემთხვევაში დაცულები არიან პლაგიატისგან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მივიჩნევთ, რომ დღევანდელ, ციფრულ სამყაროში, ჟურნალისტიკის სფეროში, ძალიან დიდი ალბათობა მიმდინარე ამბებზეც მოიძებნებოდეს ინფორმაცია ინტერნეტ სივცეში, საიდანაც გადმოკოპირებისგან თავისთავად დაცული ვერ იქნება უნივერსიტეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების დოკუმენტი • ინტერვიუს შედეგები • ვებ-გვერდი • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა • სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების შესახებ • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველი ლექტორებთან გაიმართოს შეხვედრები, პროგრამაში ქულების დროულად შეტანასთან დაკავშირებით; • სასურველია, პლაგიატის პროგრამის უფრო აქტიური გამოყენება და სტუდენტების ინფორმირება მის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას. თავისი ინტერესების გათვალისწინებით სტუდენტს შეუძლია, ნექსუსის ელექტრონულ პროგრამის საშუალებით თავად აირჩიოს სასურველი არჩევითი საგანი და წარმართოს თავისი აკადემიური განვითარება. აღნიშნულ პლატფორმაზეევე შეუძლია იხილოს თითოეული საგნის სილაბუსი, რის შესახებაც ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან. ამასთანავე კურსის დასაწყისში ლექტორები აცნობენ ინფორმაციას მიმდინარე საგნის შესახებ. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხელმისაწვდომი და ღიაა სტუდენტებთან ლექციებს შემდეგ კომუნიკაციისთვის სხვადასხვა ფორმით. აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ არ შექმნიათ კომუნიკაციის პრობლემა. სტუდენტთა დასაქმების ინდექსი უნივერსიტეტის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მაღალია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც 69%-ს შეადგენს. მაღალ მაჩვენებელს, ხელს უწყობს პროგრამის არაერთი მემორანდუმი და აქტიური თანამშრომლობა მედია და მომიჯნავე საქმიანობის ორგანიზაციებთან. მაგრამ, აღსანიშნავია რომ დასაქმებამდე სტუდენტებს ჭირდებათ სტაჟირების გავლა, შესწავლა თანამედროვე ჟურნალისტიკაში დანერგილი მეთოდების. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების წესი ითვალისწინებს პროცესში სტუდენტების ჩართულობას, ვიზიტის შედეგად ბუნდოვანი დარჩა სტუდენტების უშუალო ჩართულობა სილაბუსების მოდიფიკაციაში, თუმცა მასში გათვალისწინებული იყო ზოგადად სტუდენტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი პრაქტიკის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა სისტემატიურად ახორციელებს კვლევას კურსდამთავრებულებთან და ეკითხებათ რჩევებს პროგრამის გაუმჯობესების შესახებ. დაწესებულებაში არის საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი, თუმცა ვიზიტის დროს გამოიკვეთა გამოწვევები ინტერნაციონალიზაციის კუთხით. 2018 წლიდან პანდემიის პერიოდამდე ფაკულტეტს ყავდა ორი საერთაშორისო გაცვლითი სტუდენტი, პანდემიის პერიოდიდან დღემდე კი ესეთი სტუდენტი არ ჰყავთ. როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია საერთაშორისო მობილობაზე, პროექტებზე თუ გაცვლით შესაძლებლობებზე. მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ერასმუსის პროგრამაზე, თუმცა აღნიშნულზეც არ იციან სად და რა სახით გააცნოთ უნივერსიტეტმა სტუდენტებს ამ შესაძლებლობის შესახებ. გამოწვევები გამოიკვეთა ასევე სტუდენტების მიერ კვლევითი საქმიანობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში არის სამეცნიერო კვლევის მართვის ცენტრი, ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს არ განუხორციელებიათ კვლევითი საქმიანობა. უნივერსიტეტმა წარმოგვიდგინა სტუდენტური აქტივობების მასალები, თუმცა, მასში შეინიშნება აკადემიური და კვლევითი აქტივობების ნაკლოვანება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს არ აქვთ აქტიურად მიღებული მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა თუ კვლევებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მემორანდუმები
- დასაქმების მაჩვენებელი
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესისა და გარემოს კმაყოფილების შეფასება
- სტუდენტთა მიერ ლექტორის საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლება-სწავლის პროცესის შეფასების შესახებ
- ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ინიციატივითა და მონაწილეობით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები
- გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დოკუმენტები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, სტუდენტებში გაიზარდოს და წახალისდეს კვლევით პროექტებში, მონაწილეობა. უსდ-მ იმუშაოს ამ მხრივ ადგილობრივ და, განსაკუთრებით, საერთაშორისო პროექტებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში სტუდენტების უფრო წარმომადგენლობითი ჩართულობის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება;
- სასურველია, სტუდენტებთან მეტი მუშაობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სტიმულირების მიზნით, ამასთანავე გაიმართოს ინფორმაციული სახის შეხვედრები სტუდენტებთან სადაც საუბარი იქნება უნივერსიტეტის მიერ გაცვლითი პროგრამების შეთავაზების შესაძლებლობასა და ამ შესაძლებლობების გამოყენების სიკეთეებზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა; სამაგისტრო პროგრამის დებულება
- სამაგისტრო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები(CV);

• დაცული სამაგისტრო ნაშრომები
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და

გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პროფესორები და მოწვეული პედაგოგები გამოცდილი და კვალიფიციური პროფესიონალები არიან. პროფესორების მრავალწლიანი პედაგოგიური მუშაობა მოიცავს მედიის კვლევას და უფრო ფართოდ - სოციალურ მეცნიერებებში მუშაობის, კვლევისა და ცოდნის გაზიარების მრავალფეროვან გამოცდილებას. მათგან უმრავლესობას აქვს სხვადასხვა მედიებში პრაქტიკული ჟურნალისტური მუშაობის გამოცდილებაც. თეორიული კურსები მიყავთ ასევე გამოცდილ მკვლევარებს და პედაგოგებს. პროგრამაში თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან ჩართულნი უნივერსიტეტის პროფესურა და მოწვეული პედაგოგები. უნივერსიტეტის პროფესორების დიდი უმრავლესობა უძღვება თეორიულ სავალდებულოდ აარჩევით კურსებს. თუმცა პროგრამის კურდამთავრებულები მიუთითებენ უნივერსიტეტის პროფესორების მიერ ჩამოყალიბებული სახელოსნოების დადებით წვლილზე, პროფესიული ანბანის და ფუნდამენტის ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა, შეხვედრებზე და ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის მთავარი მიზნის მიღწევაში, - თანამედროვე ცოდნისა და უნარების ჟურნალისტის ფორმირებისთვის, მნიშვნელოვანია მოწვეული ჟურნალისტების, როგორც პედაგოგების როლი და მათ მიერ წარმართული სასწავლო კურსების დადებითი გავლენა სასწავლო პროგრამის განვითარების პროცესში. მათი ცოდნა, გამოცდილება ხელს უწყობს რეალურად მიმდინარე მოვლენებისა და დისკურსებში მომავალი ჟურნალისტების გარკვევას და ინტეგრაციას. სწორედ ეს კომპონენტი აბალანსებს პროგრამაში დომინანტურ თეორიულ და შემოქმედებით ტენდენციებს. პედაგოგებთან და სტუდენტებთან ინტერვიუებმა ცხადყო, მოწვეული პედაგოგების მიერ გაზიარებული გამოცდილების მნიშვნელობა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პრაქტიკული უნარების და გამოცდილების შემენის თვალსაზრისით. სწორედ მათ კურსებზე ხდება სტუდენტების მიერ მათივე ინტერესების იდენტიფიცირება. დარჩნენ აქტიურ ჟურნალისტიკაში, თუ მუშაობა გააგრძელონ მედიის კვლევებსა და პუბლიცისტიკაში. მნიშნელოვანია პროგრამისთვის შექმნილი ახალი მულტიმედიური ცენტრის ფუნქციონირება, სადაც მიმდინარეობს მუშაობა ნიუსრუმის პრინციპით და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ყოველდღიური მუშაობა. აღნიშული ცენტრის რესურსები თანამედროვეა და ყველასთვის ხელმისაწვდომი. კომფორტული და მეგობრული გარემო. აღასანიშნავია, რომ პრაქტიკული მუშაობის სივრცეები, ცენტრი და სახელოსნოები, სადაც ხდება საბაზისო ცოდნისა და პირველადი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების შეძენა, ძირითადად დაკავშირებულია ერთეულ პედაგოგებთან. ამიტომაც პრაქტიკული მუშაობის დროს დომინანტურია ამ პედაგოგების პროფესიული მიდგომების და სუბიექტური ხედვის გავლენა. სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა უნივერსისტეტის ადნიმისტრაციული და ტექნიკური სამსახურებიდან. ისინი იყენებენ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სრულად და შეუფერხებლად. ტექნიკური ბაზა სტუდენტების რაოდენობის შესაბამისია. არ აღინიშნება სივრცისა და რესურსების სიმწირე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტრუქტურული ერთეულების დებულებები; • პერსონალის პირადი საქმეები; • ხელშეკრულებების ფორმები; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან დასტუდენტებთან.
რეკომენდაციები: •

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სამომავლოდ გამრავალფეროვნდეს პრაქტიკულ მუშაობაში ჩართული პედაგოგების არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ გამოცდილებაც. ჩაერთონ სხვადასხვაგვარი ხედვის, სტილის, გამოცდილების და მიდგომების პედაგოგები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული რეგულარული გამოკითხვებით (სტუდენტების გამოკითხვა კურსისა და პედაგოგის შესახებ). შეფასების შედეგები, ანალიზი და რეკომენდაციები, როგორც წესი, წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და ზოგიერთ შემთხვევაში პერსონალს, ინდივიდუალურად. ამ გზით შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს, სადაც პროფესორების პუბლიკაციები იბეჭდება. ამას გარდა, უნივერსიტეტში სისტემატიურად იმართება კონფერენციები და არაფორმალური შეხვედრა-დისკუსიები.

უნივერსიტეტი ჩართულია რამდენიმე საერთაშორისო პროექტში, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები და პროფესორები ეცნობიან მედიის კვლევისა და სწავლების ტენდენციებს.

პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გამართული შეხვედრების საფუძველზე შევიტყვეთ, რომ ისინი მონაწილეობენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და ურთიერთობებს ამყარებენ უცხოელ კოლეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული პირების პუბლიკაციები;
- მიმართულების აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის მონაცემები;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
➢ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბაზაზე, რომლის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის ძველ და ახალ კორპუსებში ფუნქციონირებს სასწავლო (შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი) აუდიტორიები, სხვადასხვა სივრცე არაფორმალური კომუნიკაციისთვის, სახელოსნო სივრცეები, აღჭურვილი როგორც ტექნიკით, ისე ლიტერატურით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაც (ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები), სასწავლო პროცესში გამოიყენება ელექტრონული ბაზა. თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი უმეტესად სარგებლობენ ლექტორების მიერ მიწოდებული ლიტერატურით. უნივერიტეტს აქვს ახალი, ნიუსრუმის და სატელევიზიო სტუდიის საუნივერსიტეტო სივრცე. არჭურვილი თანამედროვე ტექნიკით და კომპიუტერული რესურსებით. პროგრმის მონაწილეებს სრულფასოვნად შეუძიათ მოახდინონ სატელევიზიო გადაცემის ინსცენირება, ასევე დაამონტაჟონ ვიდეომასალა. თუმცა ჯერჯერობით პროგრამას არ აქვს პლატფორმა ინტერნეტში, სადაც მოხდება სტუდენტური პროექტების და სასწავლო ნამუშევრების გამთლიანება, ან შიდა, საუნივერსიტეტო მაუწყებლობა. ასევე ვერ გავეცანით სტუდენტების სტატიებს, ან წერილობით რეპორტაჟებს. დროებით შეფერხებულია გაზეთის გამოცემა. ამისთვის მნიშვნელოვანია ტრადიციული და უფრო მეტად - ახალი მედიების და პროგრამების გამოყენება, რომლითაც ინტენსიურად გააზიარებენ საკუთარ მიღწევებს ერთმანეთში და უცხო აუდიტორიისთვისაც. კროსმედიური მეთოდის სწავლებისთვის მნიშვნელოვანია მულტიმედიური პლატფორმების და ინტერნეტრესურსების ათვისება. აღნიშულ პლატფორმებზე სტუდენტი შეძლებს ტექსტუალური და ვიზუალური, სხვადასხვა ჟანრის და ფორმატის კონტენტის წარდგენას. რაც კიდევ ერთხელ გააძლიერებს თვითშეფასების, საკუთარი თავის დანახვის შესაძლებლობას და ახალგაზრდაში დამოუკიდებლობის განცდის გაძლიერებას. ამ მომენტისათვის არსებობს ერთგვარი ბლოგების გვერდი, სადაც კულტურის სხვადასხვა საკითხებზე მომზადებული პუბლიკაციებია განთავსებული, მაგრამ არა ჟურნალისტური. პრაქტიკული ცოდნის და უნარების მიღებისთვის ყველაზე ინტერნსიური რადიო მაუწყებლობის ფორმატია, რასაც ხელს უწყობს რადიო "საქართველოს ხმის" მხრიდან ქმედითი აქტივობა, კერძოდ

სამაუწყებლო ბადეში პროგრამის სტუდენტების ნამუშევრებს ეთმობა არაერთი საათი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინფრასტრუქტურის და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერება; შეხვედრა აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, ინტერვიუს შედეგები;. ინვენტარიზაციის შედარების აქტი; შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ანგარიშ-ფაქტურები; საბიბლიოთეკო რესურსი; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტმა შექმნას რესურსები, რაც მათ საკუთარი თავის, აზრისა და ნამუშევრის დისტანციიდან დანახვისა და შეფასების შესაძლებლობას მისცემს. • სურველია ბეჭდვითი მედიის კაბინეტსა და ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ხვდებოდეს ბეჭდვითი მედიის სრული სპექტრი, ასევე ცნობილი დასავლური გამოცემების და გაზეთების არჩევანი ბიბლიოთეკასა და სახელოსნოებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტი წარმოადგენს 280000 ლარს. 90 000 ლარამდე იხარჯება სასწავლო პრაქტიკის, სწავლების ტექნიკურად აღჭურვის, ბიბლიოთეკის განახლების, სტუდენტების სოციალურად დაცვის, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების სხვა კომპონენტებზე. საგულისხმოა, რომ 20000 ლარი იხარჯება მოწვეული პედაგოგების ხელფასისთვის, აკადემიური თანამშრომლების ხელფასებისთვის - 156 000 ლარი. პროგრამაზე სწავლობს 80 სტუდენტი. ერთი სტუდენტის სწავლის საფასური3500 ლარია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • აკრედიტაციის პროცეში წარმართული ინტერვიუები (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადეიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი).

რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ბიუჯეტის იმდგვარი განვითარება, რომ გაიზარდოს მოწვეული პედაგოგების რაოდენობა; • სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიწეროს ბეჭდვითი მედიის (როგორც ქართული, ისე დასავლური გამოცემები) შესყიდვის ხარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ინსტიტუციური განვითარების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი საფაკულტეტო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების დაკვირვებას, მონაცემთა ანალიზს და შედეგების საფუძველზე შემდგომი აქტივობების დაგეგმვას. წინამდებარე პროცესები გამართულია კონკრეტული რეგლამენტის საფუძველზე, რომელიც ნაწილდება რამდენიმე სეგმენტზე, მათ შორის: i. პროგრამის დამტკიცება/ცვლილების შეტანა (ცხრასაფეხურიანი პროცესი);

ii. სტუდენტთა აკადემიური შედეგები/გამოკითხვა (ექვსსაფეხურიანი პროცესი);
iii. ადმინისტრაციული ერთეულების კვლევა (თხუთმეტსაფეურიანი პროცესი);
iv. საკითხის შინაარსი - კვლევის შეჯერება (ხუთსაფეურიანი შემაჯამებელი პროცესი).

აღსანიშნავია, რომ ოთხივე სამუშაო სეგმენტის მართვა ხდება თემატურად შერჩეული კომიტეტებისა და სამეცნიერო ცენტრის მიერ (პროგრამის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მართვის ცენტრი), რომელთა საქმიანობა გაწერილია მთელი წლის მანძილზე, პროცესების დეტალური აღწერით, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს, არამარტო აქტივობის განხორციელებას, არამედ მის მონიტორინგს, შემდგომ საჯარო განხილვას, შეფასებას, დამტკიცებას და დაგეგმილი ღონისძიების გატარებას. წინამდებარე პროცესებში ჩართულია როგორც საუნივერსიტეტოს ერთეულები და აკადემიური წრეები, ისე გარე აქტორები. წარმოდგენილი რეგლამენტი არის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა (Planning), განხორციელება (Doing), შეფასება (Checking), განვითარება (Acting) (PDCA).

წინამდებარე პროცესები და პროცედურები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მარეგულირებელ დოკუმენტებში, როგორიცაა ***ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი***.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტს საფუძვლად უდევს საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები/კონვენციები/აქტები და სტანდარტები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და უნივერსიტეტის სამართლებრივი კანონქვემდებარე აქტები და შიდარეგულაციები, რომელიც განიხილავს ყველა მნიშვნელოვან საფეხურსა და დეტალს პროგრამის მომზადებიდან, მისი განვითრებისა და მონიტორინგის ჩათვლით.

წინამდებარე პროგრამის წარდგენამდე კომიტეტის მიერ დაიგეგმა ბაზრის კვლევა მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას ჰყავს 21 თაობის კურსდამთავრეული და საკმაოდ სოლიდური გამოცდილება. კვლევა თაიღდება 2021 წლის, შესაბამისად, ის შეიძლება ჩაითვალოს ახალ კვლევად. მონაცემები შეჯერებულია ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2010-2020 დოკუმენტების მონაცემებთან, რომლის თანახმადაც გამოვლინდა კურსდამთავრებულებით ნაკლებად დაინტერესება რეგიონებში, რამაც გამოიწვია არაერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედების შეჩერება. ფაქტობრივად რეგიონებზე მოდის 30 ადგილი 1400 რეალური ადგილიდან ქვეყნის მასშტაბით. დაწესებულებას ნაკლვევი აქვს ასევე მედიაორგანიზაციათა ფუნქციონირების ლოკაციები ქვეყნის მასშტაბით (100-მდე მედიაორგანიზაცია თბილისს მიღმა). წინამდებარე მონაცმებს უსდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვინაიდან ის აბიტურიენტთა გარკვეულ ნაწილს რეგონებიდან იზიდავს. მნიშვნელოვანია, რომ შრომის ბაზრის კვლევაში ჩართული იყო 32-მდე დამსაქმებელი, რაც საკმაოდ სოლიდური რიცხვია (მათ შორის: მა დამსაქმებელმა. ესენია: საინფორმაციო სააგენტოები: "ჯი-ეიჩ-ენი; "ექსპრესნიუსი"; "ინტერპრესიუსი"; "ნიუსრუმი"; "2020 NEWS.GE". (15,42%) ტელეკომპანიები: ტვ "იმედი"; საზ.მაუწყებელი - "პირველი არხი"; "ტელეკომპანია პირველი"; სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2"; "მაესტრო"; ტელეკომპანია "ფორმულა"; აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი; "ტვ25"(აჭარა); ტელეკომპანია 24; ტელეკომპ. "პალიტრა"; (31,25%) რადიოკომპანიები: "პოზიტივი"; "ჯაკო"; "საქართველოს ხმა"; "ფორტუნა". (12,5%) ბეჭდური მედია: "რეზონანსი", "კვირის პალიტრა", ჟურ. "არილი"; "ისტორიანი". (12,5%) პრ და მარკეტინგული კომპანიები: "ეი-სი-თი"; "პიარემსი"; "მედიარტი". არასამთავრობო ორგანიზაცია; აგრეთვე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ქ.თბილისის საკრებულო; (28.12%), რაც გარკვეულწილად სოლიდური მონაცემებია ასეთი მცირემასშტაბიანი უსდ-სთვის. კლევის შედეგად:

- დარგის მოთხოვნა ბაზარზე არის 78%-იანი;
- ახალი თანამშრომლის მიღების საჭიროება წლის განმავლობაში არის 43,75%;
- ახალი კადრის აყვანის მაღალი კოეფიციენტი (56,25%) აჩვენა პირობან, რომლის თანახმადაც

კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა გაიაროს ანაზღურებადი სტაჟირება ან იმუშაოს გამოსაცდელი ვადით;

- დამსაქმებელი ააყალიბებს კონკრეტულ მოთხოვნებს უსდ-სადმი: ***პრაქტიკული უნარები*** (78.12%); ***უცხოური ენების ფლობა*** (მეტწილად ინგლისური ენა, 68.75%); ***დარგობრივი ცოდნა*** (75%); ***კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური პოტენციალი*** (62.5%) და ***ანალიტიკური აზროვნება*** (53,12%).

ბაზრის კვლევების დასკვნები, როგორც სააკრედიტაციო პაკეტმა და წარმართულმა ინტერვიუებმა აჩვენა, პროგრამის განახლების პროცესში მნიშვნელოვანი იყო ბაზრის კვლევის შედეგები. ყველა ზემოთ მოსენიებულ თემებს დაეთმო ყურადღება კურიკულუმის განახლების პროცესში.

ასევე პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია კურსდამთავრებულთა გამოკითხვაც, რომელმაც აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (73,5%) დასაქმებულია პროფილით, კვალიფიკაციის შესაბამისად.ძალია მცირეა (11,1%) რაოდენობა იმ კურსდამთავრებულების, რომლებიც შეთავაზებას ელოდება. კურსადამთავრებულებმაც კვლევებში დააფიქსირეს ორი მნიშვნელოვანი მოთოვნა, როგორიცაა სპეციალობის პრაქტიკული ცოდნა (84%) და პოზიციის შესაბამისი გამოცდილება (72%), რომელზეც პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი გეგმიურად მუშაობს და რამაც გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა პროგრამაში. კურსდამთავრებულთა მოსაზრებით პროგრამის გასუმჯობესებელ მხარედ თვლიან: *მეტი ფოკუსირება პრაქტიკულ მეცადინეობებზე* ; *სტაჟირების შესაძლებლობა სტუდენტებისათვის*; *უცხო ენების სწავლის გაძლიერება*; *სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების გაუმჯობესება*; *საგანმანათლებლო პროგრამის ე.წ. "არასაჭირო საგნებისგან" გათავისუფლება.* მოცემული მიგნებები კურსდამთავრებულების მხრიდან მომდინარეობს იქიდან, რომ გამოკითხულთა პოპულაციას სხვადასხვა პერიოდში ჰქონდა დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამა. თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ინტენსიური კომუნიკაცია მათთან მნიშვნელოვანია თუნდაც იმისთვის, რომ პროგრამამ გაიზიაროს ბაზარზე დარგის სხვადასხვა სეგმენტში დანერგილი უახლესი მოვლენები. კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ იმას, რომ მათ მიერ დასაქმების პოზიციის მოძიება მოხდა უფროსი კოლეგები, მეგობრებისა და ნაცნობების რეკომენდაციით, რაც წარმატებით შეიძლება დააორგანიზოს უსდ-ს კარიერული განვითარებაზე პასუხიმგებელმა ჯგუფმა.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო სივრცეში კონკრეტული პროცესები ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება, პროგრამაში ჩართული პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლობას უნდა ჰქონდეს პერმანენტული/უწყვეტი ხასიათი. ცვლილებათა მიდევნება შესაძლებელია როგორც პროგრამის განმახორციელებელი პირებთან აქტიური თანამშრომლობით, ერთ მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კი აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივი გადამზადებით ხარისხის უზრუნველყოფის თემებზე.

უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება რეგულარულად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რაც ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობის ანალიზსა და შეფასებას, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ხარისხის მართვის რეგლამენტის დოკუმენტში დეტალურადაა ასახული.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს რეგულარულად აქვს დაორგანიზებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა, ანალიზი და შეფასების პროცესი. თვოთშეფასების პორტფოლიოში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ კვლევის შედეგებს:

- ანგარიში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ;
- ანგარიში აკადემიური პერსონალის შესახებ;
- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

სამაგიდო კვლევის პროცესში პროგრამის განმახორციელებლების მიერ მომზადდა ანალოგიური პროგრამების შედარების დოკუმენტი, რომელშიც განხილულია შემდეგი უნივერსიტეტების კურიკულუმები: *აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ამერიკა_ძირითადად შესაბამისობაში), ჯორჯ*

ვოშინგტონის უნივერსიტეტი (ამერიკა_ძირითადად შესაბამისობაში), თუმცა ექსპერტთა ჯგუმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ ანალოგიური შედარებას პროგრამის განმახორციელებელი პირები მოამზადებენ ქართულ უსდ-ებში მოქმედი მსგავსი პროგრამების მიმართ, რათა განსაზრვრონ საკუთარი ნიშა ქართულ მედიაბაზარზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისათვის უსდ-ში განსაზღვრულია საანგარიშო პერიოდი ორი აკადეიური წლის ვადით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გეგმა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის მიერ წარმართული კვლევები;
- სამსახურის დებულება;
- ხარისხის მართვის რეგლამენტი;
- შედარება ანალოგიურ პროგრამებთან;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მეტი ინტენსიურობით კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან იმ მიზნით, რომ პროგრამამ გაიზიაროს ბაზარზე დარგის სხვადასხვა სეგმენტში დანერგილი უახლესი მოვლენები;
- სასურველია, თუ საგანმანათლებლო პროგრამის შედარებას პროგრამის განმახორციელებელი პირები მოამზადებენ ქართულ უსდ-ებში მოქმედი მსგავსი პროგრამების მიმართ ქართულ მედიაბაზარზე საკუთარი პოზიციის განსაზღვრის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ერთობ მნიშვნელოვანია ხარისხის გარე შეფასება, რაც რამდენიმე ეტაპად ყალიბდება:

- შეფასება, რომელიც ხორციელდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის ან აკრედიტაციის პროცესში (საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №254 გადაწყვეტილებით, რომლის შემდგომ პროგრამა დაექვემდებარა მოდიფიცირებას, რაც ემყარებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ აკრედიტაციის პროცესში შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. აკრედიტაციის შემდგომი მონაცემების ანალიზი და მისი ეტაპობრივი განხორციელება პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა მიიჩნია პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვნად, შესაბამისად, მათი მხრიდან გათვალისწინებულია ფაქტობრივად ყველა რჩევა და რეკომენდაცია;
- შეფასება, რომელიც ხორციელდება კოლეგიალურად დარგის ექსპერტების ან აკადემიური წრეების მრხრიდან. შეფასებას ახორციელებს როგორც ქართველი, ისე უცოელი დარგისა თუ განათლების ექსპერტები. წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება განახორციელეს დარგის ექსპერტებმა: *ტელეკომპანიდან **პირველი*** (შეფასებულია პოზიტიურად, სუსტი მხარეების გარეშე), *კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან* (შეფასებულია ძირათად პოზიტიურად, თუმცა ამავდროულად ექსპერტი ითხოვს პროგრამის შევსებას თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით),

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. გარვეულწილად პროგრამების განახლება და მათ შორის მოცემული პროგრამის, განხორციელდა ეტაპობრივად და სხვადასხვა მიმართულებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა პირველ რიგში დამსაქმებლების, ხოლო შემდგომ პარტნიორი უნივერსიტეტისა და დამსაქმებლის მიერ. როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტებმა აჩვენა დამსაქმებლების ჯგუფი მოცემულ პროგრამასაც ჰყავს და საკმაოდ ფართოა ეს წრე და ორიენტირებული მედიის სხვადასხვა სფეროზე.

მნიშვნელოვანი და აღსანიშნავის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შემუშავებული აქვს კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც თვალსაჩინოს ხდის პროგრამის განვითარების შემდგომ გზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე შეფასების მასალები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის მიერ წარმართული კვლევები;
- ხარისხის მართვის რეგლამენტი;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა თავის განვითარებაში პერიოდულად იცვლება და ექვემდებარება ერთი მხრივ საკანონმდებლო ცვლილებებს, ხოლო სხვა მხრივ, დარგის განვითარებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული სიახლეები სამუშაო პროცესში გარკვეულწილად დაკვირვებისა და შეფასების ობიექტი ხდება, რასაც ახორციელებს კონკრეტული მეთოდოლოგიითა და ვადების დაცვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური წრეების აქტიური ჩართულობით.

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი კომპლექსურ ხედვას მოითხოვს, მნიშვნელოვანია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რაც განსაზღვრავს „[...] როდის. რა მეთოდით, პროგრამის რომელი კომპონენტის, როელ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება [...]“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ., 43).

უსდ-ში მოქმედი მონიტორინგის გეგმის თანახმად გეგმა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;
- კვლევის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების განსაზღვრა;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- სტუდენტთა მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება;
- კოლეგიალური შეფასება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ჰოსპიტაციის ფარგლებში;
- კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითვა;
- ინტერვიუები (ჩაღრმავებული ინტერვიუები);

მონიტორინგის პროცესი თავის მხრივ გულისმობს განმავითარებელ შეფასებას, რაც გარკეულწილად შიდა ხარისხის განვითარების მიზნით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობაა. პროცესის შედეგები წარედგინება პროგრამის კომიტეტს, რომელიც მასალების გაცნობის შემდგომ გეგმავს ქმედით ღონისძიებებს პროგრამის კორექციისა და გავითარების მიზნით.

მონიტორინგის პროცედურა ორწლიან ციკლს გულისხმობს, ამ უკანასკნელის საფუძველზე ხდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება. პროგრამის განვითარებაში პროგრესის შეფერხების შემთხვევაში, საკითხის განხილვა ექვემდებარება განხილვას აკადემიური კომიტეტის ფარგლებში, რომელიც იღებს პროგრამის შეჩერების, გაუქმების ან პროგრამის ხელმძღვანელის ჩანაცვლების გადაწყვეტილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- ხარისხის მართვის რეგლამენტი;

• **პროგრამის შეფასების გეგმა;** • **ვიზიტის** პროცესში წარმართული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) •
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა *ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია*
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნინო ქიმერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
ნინო ჟიჟლაშვილი

სოფიო კილასონია

გიორგი გვენეტაძე